N 18 29/01/2020

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2020 წელი, 28 იანვარი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.კილაძე - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: თ.ტუღუში, ჯ.თავართქილაძე, ბ.თოიძე, ვ.ჩხაიძე, ლ.მგელაძე, ვლ.ჩავლეშვილი, თ.ბურჭულაძე, ვლ.ღლონტი, ხ,ცერცვაძე, ლ.ნინიძე, ნ.ორაგველიძე, დ.ჭაკნელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს:გ.კილაძე

2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხს:გ.კილაძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ოზურგეთში გურიის ქუჩაზე (აგრარული ბაზრის ტერიტორია) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 23კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზედ მიმაგრებული შენობის (ს/კ 26.26.48.038) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხს:გ.კილაძე

4.კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხს:გ.კილაძე

კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტების: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე“ და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მათი საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენა განხილვა-დამტიკიცების მიზნით. იმსჯელეს მერიის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ოზურგეთში გურიის ქუჩაზე (აგრარული ბაზრის ტერიტორია) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 23კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზედ მიმაგრებული შენობის (ს/კ 26.26.48.038) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე“ და, იმის გამო, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პერიოდში როგორც საკრებულოში, ასევე მერიაში შემოვიდა აღნიშნული ფართით მოსარგებლე მოქალაქეთა განცხადება მისი არა პირდაპირი, არამედ საჯარო აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე, კომისიის წევრები შეთანხმდნენ მუნიციპალიტეტის მერიისაგან მოითხოვონ დამატებითი დასაბუთება ფართის იჯარით პირდაპირი განკარგვის წესით ან საჯარო აუქციონის წესით გაცემის თაობაზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი სამუშაო გეგმის პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენას.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნები (თან ერთვის) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე“ წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ოზურგეთში გურიის ქუჩაზე (აგრარული ბაზრის ტერიტორია) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 23კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზედ მიმაგრებული შენობის (ს/კ 26.26.48.038) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე“- პროექტზე იმის გამო, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პერიოდში როგორც საკრებულოში, ასევე მერიაში შემოვიდა აღნიშნული ფართით მოსარგებლე მოქალაქეთა განცხადება მისი არა პირდაპირი, არამედ საჯარო აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე, მუნიციპალიტეტის მერიისაგან მოთხოვნილ იქნას დამატებითი დასაბუთება ფართის იჯარით პირდაპირი განკარგვის წესით ან საჯარო აუქციონის წესით გაცემის თაობაზე.

3. კომისიის 2020 წლების სამუშაო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს.

.

გოჩა კილაძე

კომისიის თავმჯდომარე
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია